გადაეცით განსაზღვრული წილები მათ მფლობელებს, ხოლო რაც დარჩება მიეკუთვნება ყველაზე ახლო ნათესავ მამაკაცს

გადმოსცემს იბნ აბბასი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «გადაეცით განსაზღვრული წილები მათ მფლობელებს, ხოლო რაც დარჩება მიეკუთვნება ყველაზე ახლო ნათესავ მამაკაცს».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უბრძანებს იმათ, ვინც მემკვიდრეობის განაწილებას ახორციელებს, რომ ის გაანაწილონ სამართლიანად და შარიათის მიხედვით, ისე როგორც ისურვა უზენაესმა ალლაჰმა. დადგენილი წილების მქონე მემკვიდრეებს უნდა მიეცეთ თავიანთი წილები, როგორც ალლაჰის წიგნშია აღნიშნული — ორი მესამედი, ერთი მესამედი, ერთი მეექვსედი, ნახევარი, ერთი მეოთხედი და ერთი მერვედი. ხოლო რაც ამის შემდეგ დარჩება, გადაეცემა გარდაცვლილის ყველაზე ახლო ნათესავს მამაკაცთაგან, რომლებიც "ასაბად" იწოდებიან.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5887

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee